ფატმა ბაირაქთარ ქარაჰანი

ჩემს ოჯახში ცხოვრობს ბავშვი

muslim georgia

მოწყალე და მწყალობელი ღმერთის სახელით

muslim georgia

muslim georgia foundation
muslim georgia
muslim international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
ავთანდილ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity foundation

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ჩემი ოჯახი

ჩემს ოჯახში ცხოვრობს ბავშვი

ფატმა ბაირაქთარ ქარაჰანი

რსს მეამბეგშვლობა

muslim georgia
muslim georgia an international charity foundation

პატარა ბავშვიდამწუხრებული იყო დედამიწაზე. აშკარა იყო,რომ მას სჭირდებოდა უფროსი, რომელიც გაიგებდა მის პრობლემას. ხმა,რომელიც იკითხავდა მისი ყოფის შესახებ და ანუგეშებდა. ის იყო ენეს ბ. მალიქის ძმა, სახელად ერქვა ებუ უმეირ. ჩვენი საყვარელი შუამავალი ხშირად მიდიოდა მათ მოსანახულებლად და ეფერებოდა ებუ უმეირს. ჰკითხავდა,როგორ გრძნობდა თავს მისი პატარა ბედურა „ნუდაირი“, „ებუ უმეირ! პატარა ბედურა რას აკეთებს? (ბუჰარი, ედებ. 81) იმ დღეს, როდესაც ებუ უმეირი დამწუხრებული თვალებიით იყურებოდა დაბლა, ჩვენმა შუამავალმა ჰკითხა, თუ რა იყო აღნიშნულის მიზეზი? რადგანაც ალლაჰის ელჩს არ მიაჩნდა დასაშვებად ბავშვების მწუხარება. უთხრეს „მისი ბედურა მოკვდა, ამიტომაა ასე დამწუხრებული.“ წყალობის შუამავალი მოეფერა მას და გამოხატა მისდამი სიყვარული. დაამშვიდა ის და მიუსამძიმრა. დამშვიდდა ბავშვის პაწაწინა გული, რადგანაც მის გულს შეეხო ის, ვისაც ყველაზე მეტად ესმის მდგომარეობა...

ვინ ვართ ბავშვი?

ბავშვი სიცოცხლის ხალისი, სახლის წყალობა, ოჯახის იმედია. პირველი დღიდან, როდესაც ვიგებთ, რომ უნდა დაიბადოს, ჩვენს გულებში ისადგურებს თბილი სიხარული და სიყვარული. ამ სიხარულს ემატება ტკბილი ფუსფუსი და პასუხისმგებლობის გრძნობა. გადის თვეები, სულები ემზადებიან ამ ახალი სიცოცხლის მოსასვლელად. და ყველაზე ძვირფასი სტუმარი ეწვევა სახლს. მისი ღიმილი, ტირილი, სუნთქვა, თვალის დახუჭვა და გახელა, ფორთხვა, საუბარი, მოკლედ, მისი ყველა მდგომარეობა ახალისებს სახლს.

ბავშვი არის ყველაზე საყვარელი, ალლაჰის მიერ ჩვენთვის ბოძებულ წყალობებს შორის. ყურანის სიტყვებით, "თვალის სინათლე". მშობლების სურვილია მომავალს დაუტოვონ ქმნილება, დატოვონ სახელი, გააგრძელონ შთამომავლობა. ეს არის პასუხი ვედრებაზე „უფალო ჩემო, მიბოძე მე შენდამი წყალობით კეთილი შთამომავლობა.უეჭველად, შენ ხარ შემსმენი ვედრებისა!"(ალი იმრანი, 3/38) წყალობაა შვილი. ღვთაებრივი სიკეთისსახელია, სარჩოს სიტკბოა ...

ბავშვს, ისე როგორც ყველა სარ-
ჩოს, თან ახლავს ტვირთიც. ჯერ გა-
დის თვეები, როდესაც მოთმინებით
ველოდებით;ყურანის სიტყვებით, დე-
დისთვის, რომელმაც „იტვირთა მძიმე
ტვირთი," რთული კვირეების დასრულ-
დების შემდეგ, იწყება უძილო ღამეები...
მოწყალეთაგან ყელაზე მწყალობელი
ჩვენი უფლის მიერ,ჩვენს გულებში შთა-
გონებული გულმოწყალებით, მარტივდე-
ბა ბავშვის მოვლა, სისუფთავე და გა-
ნათლება. მიუხედავად იმისა, რომ გარე-
დან ეს შეიძლება რთული ჩანდეს, ადა-
მინი, როდესაც დედაა არ ჭამს, აჭმევს;
როდესაც მამაა არ ჩაიცვამს, ჩააცმევს ...

ბავშვი გამოცდაა. მისი არსებო-
ბაც და არარსებობაც ხანგრძლივი
გამოცდაა... ამ ფაქტს წმინდა ყურანი
ასე აღწერს: „და იცოდეთ, რომ თქვე-
ნი ქონება და თქვენი შვილები ცდუნე-
ბაა, და უეჭველად, ალლაჰთანაა დიდი
საზღაური!"(ენფალი,8/28) უშვილობა არ არის
გულის ტკივილი. როდესაც ღმერთს ვე-
ვედრებით, ერთ-ერთი პირველი რამ რაც
გვინდა, ბავშვია. ჯერ ვემუდარებით, რომ
გვყავდეს შვილი, შემდეგ კი ვილოცებთ,
რომ იყოს ჯანმრთელი, წარმატებული,
ჰქონდეს კარგი მორალი და ბედნიერი

მომავალი.გაიხსენეთ შუამავალ ზექერიას მიერ თავისი იაჰიასთვის ხელების აღპყრობა! გაიხსენეთ, იმრანის ოჯახის მუდარა შვილის მოთხოვნით და ამ მუდარის პასუხად ჰზ. მარიამის ბოძება ამ ოჯახისთვის, როგორც ამანათი! ალლაჰის მიერ, თავისი ამანათის უკან დაბრუნება კი, მშობლებისთვის მოთმინების გამოცდათაგან ყველაზე რთულია. გაიხსენეთ ჩვენი ძვირფასი შუამავლის ჩუმად ნადენი ცრემლები, როდესაც თავისი შვილი იბრაჰიმი მიწას მიაბარა...

ჩვენი შუამავალი ამბობს: „ვინც იტვირთავს თავის გოგონებზე ზრუნვას და მათ აღზრდას, მოექცევა მათ სიკეთით, ის გოგონები იქნებიან დამცავი სანგარი ჯოჯოხეთის ცეცხლის წინააღმდეგ.”

(ბუჰარი, ედებ, 18)

muslim georgia
muslim georgia foundation
an international charity

ბავშვის არსებობა კიდევ ერთი გამოცდაა. ჩვენს მკლავებშია შვილი, სპეტაკი, სუფთა, რომელიც მზადაა მიიღოს ფორმა. როგორ გაზრდიან მას მისი მშობლები, როგორ ასწავლიან? როგორ დაეხმარებიან მას, რომ იყოს კარგი ადამიანი,კარგი მსახური? შეძლებენ, გაზარდონ ეს სათუთი ამანათი მისი ბუნების შესაბამისად და დაიცვან იგი ყველა სახის ბოროტებისგან? თუ, დაუშვებენ, რომ იყოს გამოუსადეგარი? იყო მშობელი, ნიშნავს გაიარო ბეწვის ხიდზე,რადგან შვილი, შეიძლება გახდეს სამოთხის გასაღებიც და იმედგაცრუების წყაროც ადამიანისათვის...

ამავე დროს, ბავშვი არის ყველაზე ძვირფასი რამ, რაც ყოვლისშემძლე ალლაჰმა მისცა ოჯახს. ის არის ალლაჰის კუთვნილი არსება და არა ჩვენი. ნახეთ რა ბრძანებაა ყურანში აღნიშნულთან დაკავშირებით: „ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნის. აჩენს, ინებებს რასაც; სჩუქნის ასულებს, ინებებს ვისაც და სჩუქნის ძეებს, ინებებს ვისაც;ან ადგენს მათ წყვილებად, მამრებად და მდედრებად. ხოლო ადგენს უნაყოფოდ, ინებებს ვისაც. უეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ყოვლისშემძლეა!” (შურა, 42/49-50) ასე რომ,

ჩვენ უბრალოდ ვართ მუშაკები, მეურვეები და მოხალისეები, მიზეზად ბავშვის სამყაროზე მოვლინებისა, აღზრდისა და მისთვის კარგი განათლების მიცემისა...

ბავშვობა ყველაზე უწყინარიმდგომარეობაა ადამიანისა, რომელიც „სამყაროს თვალია“. მშობლებმა პატივი უნდა სცენ მათ არსებობას და იმოქმედონ იმის ცნობიერებით, რომ ის”ალლაჰის ამანათია.” არავის აქვს უფლება თქვას, „შვილი ჩემი არაა? ისე მოვექცევი, როგორც მე მინდა”. თუ შვილი ამანათია, დადგება დრო, როდესაც ალლაჰის წინაშე, რომელსაც ეკუთვნის ამანათი, მოგვიწევს პასუხის გაცემა: ვავნეთ მას თუ უგულებელვყავით? ჩვენგან შეურაცხყოფა მოისმინა თუ შექება? ჩვენგან ცემა მიიღო თუ ჰალალი ლუკმა? ჩვენი საფულედან ჰარამით შეიმოსა თუ სუფთა ტანსაცმლით?

ბავშვი ასევე ამანათია საზოგადოებისთვის. ისე როგორც მშობლების, საზოგადოების მოვალეობაა დაიცვას იგი, პატივი სცეს მის უფლებებს, წვლილი შეიტანოს მის განათლებასა და აღზრდაში. კაცობრიობის მოვალეობაა, დაიცვას ბავშვები, რომლებიც არიან

ობოლნი, დაკარგეს ოჯახი და სჭირ-
დებათ სიყვარული.ჩვენი საყვარელი
შუამავალი ბრძანებს, “ყველაზე კარგი
სახლი მუსულმთა შორის არის სახლი,
სადაც არის ობოლი,რომელსაც კარგად
ეპყრობიან. ყველაზე ცუდი სახლი მუ-
სულმთა შორის კი,არის სახლი სადაც
არის ობოლი, რომელსაც ცუდად ეპყ-
რობიან.“ (იბნ მაჯე, ედებ, 6) აქედან გამომდი-

ნარე, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ გავუწოდოთ ხელი გულგატეხილ და მარტოსულ ბავშვებს. რადგანაც, გაწეული შრომით გადარჩება არა მხოლოდ მათი, არამედ საზოგადოების მომავალი ...

იყო მშობელი, ხშირად სწრაფი და ბუნებრივი პროცესია. მაგრამ მთავარი უნარი არის ის, რომ შეძლო მშობლობა.იყო მშობელი არ გულისხმობს მხოლოდ გამოკვებას, შემოსვას, სწავლებას, დასაქმებას და დაქორწინებას. არამედ მისი გულის გამოკვებას, დაცვას ისევე, როგორც კვებავს და მოსავს ბავშვის სხეულს, იცავს სიცხისგან, სიცივისგან და დაავადებისგან. აღნიშნულთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: "არც ერთ მამას არ მიუცია უფრო ძვირფასი საჩუქარი თავისი შვილსთვის, ვიდრე კარგი აღზრდაა." (თირმიზი, ბირრ და სილა, 33)

თითოეული ბავშვი ცალკე ინდივიდია. მას აქვს საკუთარი შეხედულებები, ჩვევები, გემოვნებები, იდეები და გადაწყვეტილებები. საკმაოდ ბუნებრივია, ფიქრობდეს ჩვენგან განსხვავებულად, სულ სხვაგვარად აღიქვამდეს ცხოვრებას. ჩვენი შვილი არ არის ჩვენი დაპატარა-

ვებული ასლი.ასე რომ, პირველი ნაბიჯი მისი ცხოვრებისათვის მოსამზადებლად იწყება მისი გაცნობით, მისი არსებობის პატივისცემით, მისი თანდაყოლილი ძირითადი მახასიათებლების აღიარებით. ბავშვიც პატივისცემის ღირსია ისე, როგორც ზრდასრული. ისიც არის ადამიანთა მოდგმის წევრი, რომელიც გაჩენილია, როგორც ყველაზე საპატიო არსება, ისიც პატივსაცემია...

ჩვენი საყვარელი შუამავლის ბავშვებთან ურთიერთობა გვთავაზობს საუკეთესო მაგალითს. ჩვენთვის სამაგალითოა ჩვენი შუამავალი, რომელიც ბავშვების დანახვისას არ ჩაივლიდა მათ მიმართ ყურადღების გამოჩენის გარეშე, ესალმებოდა და იკითხავდა მათ მდგომარეობას. ჩვენ ვხედავთ, რომ ალლაჰის შუამავალი ეკითხება აზრს ბავშვებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მათ და პატივს სცემს მათ გადაწყვეტილებებს. ის უმასპინძლდება, ლოცავს, გულში იკრავს და ჰკოცნის ბავშვებს.ბავშვს "აყენებდა კაცის ადგილას", იმ დონეზე, რომ იღებდა მას, როგორც ისლამისათვის მოწოდების ადრესატს, შეჰყავდა ის მისი ერთგული მიმდევარი მეგობრების სიაში. რადგანაც,მხოლოდ

ისეთ ბავშვის ექნება პრეტენზია, რომ იყოს კარგი ადამიანი, რომელსაც პატივს სცემენ, ესაუბრებიან, ისმენენ მის გრძნობებს და იდეებს.

ჩვენი ძვირფასი შუამავალი გვეუბნება: "ყოველი არსება იბადება ბუნებით. შემდეგ მისი მშობლები აქცევენ მას ებრაელად, ქრისტიანად ან მისნად." (ბუჰარი, ჯენაიზ, 92) მიუხედავად ფერის, რასის და სქესისა, ადამიანი ჩნდება სიკეთეზე ორიენტირებული, სიმართლის მოყვარული. ყველა ბავშვს მოსწონს კარგი და სიკეთე; ისწრაფვის სილამაზისა და მშვენირებისაკენ. იმსახურებს სიკეთეს და სილამაზეს.

muslim georgia

ბავშვები განსხვავდებიან უფროსებისგან

ბავშვები განსაკუთრებულები არიან.

ისევე, როგორც მოზრდილები, ბავშვებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი ბუნება მსგავსი, შექმნის კოდები კი განსხვავებულია. ყველა ბავშვი განსაკუთრებულია. ზოგი მშვიდია, ზოგი ცელქი. ზოგი მადიანია, ზოგი მოკრძალებული. ზოგს მოსწონს ლაპარაკი, ზოგს წიგნის კითხვა. ზოგს უყვარს სამზარეულო, ზოგსაც სათამაშოები. თითოეულ მათგანს უნდა მოვეპტყროთ ყურადღებით, მათი პიროვნული თვისებების, უნარების, სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

ბავშვები სწავლობენ დანახვით.

ბავშვები უყურებენ ზრდასრულებს, ბაძავენ ჩვენს მოქმედებებს, მაგალითს იღებენ ჩვენგან. ისინი მინი ფოტოაპა-

რატების მსგავსნი არიან; ისინი ხედავენ მცირე დეტალებსაც, იღებენ სურათებს, ინახავენ მათ თავიანთ გონებაში და ხშირად გამოიღებენ და შეხედავენ. იმის ნაცვლად, რასაც ჩვენ ვამბობთ, მათ აინტერესებთ, რას ვაკეთებთ. ადვილად ივიწყებენ ჩვენს სიტყვებს, მაგრამ არ ავიწყდებათ რაც გავაკეთეთ. ამგვარად, საუკეთესო საშუალება ბავშვის კარგი სწავლისა არის ის, რომ ვიყოთ კარგი მაგალითი მისთვის!

ბავშვები ადვილად იჯერებენ.

ბავშვები რეალურად ენდობიან ზრდასრულებს და ადვილად იჯერებენ მათ სიტყვებს. ვინაიდან სურთ გაიზარდონ და ასევე აფასებენ მშობლებს. მაგრამ თუ ისინი ხედავენ, რომ მათი ნათქვამი არ შეესაბამება სიმართლეს, ხდებიან მოწმენი, სიცრუსა და ცბიერებისა, განიცდიან დიდ გულგატეხილობას. შემდეგ კარგავენ ნდობას არა მარტო მათი მშობლების, არამედ ყველა ადამიანის მიმართ. ამიტომ საჭიროა მათ კარგად მოვეპყროთ.

ბავშვები დაბადებიდან არიან ცნობისმოყვარენი.

ბავშვებისთვის ყველაფერი ახალია ამ ცხოვრებაში. ნივთები, ემოციები, ადამიანები, ცხოველები, მანქანები ... ყველაფერს ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით უყურებენ. მათ უნდათ, რომ გაუთავებელი კითხვების დასმით ისწავლონ და გაეცნონ მსოფლიოს. მათ უნდა უპასუხოთ მათთვის გასაგებ ენაზე, მოთმინებით. თუ კითხვებზე არ უპასუხებთ, შეიძლება მოიძიონ პასუხები სხვა გზებით, მაგალითად

მეგობრების ან ინტერნეტის საშუალებით და მიიღონ არასწორი ინფორმაცია. უნდა წაახალისოთ მათი ცნობისმოყვარეობია, მაგრამ ამავე დროს, უნდა სცეთ პატივი სხვების პირადს და ასწავლოთ, რომ არ გადავიდნენ ზღვარს.

აბსტრაქტულ კონცეფციებს ბავშვები ვერ გაიგებენ.

პატარა ბავშვის დრო, აზრები, გრძნობები არეულია. გუშინის ნაცვლად ამბობს ხვალ, მეწყინას ნაცვლად ამბობს გავბრაზდი. ზღაპრის გმირები ჰგონია რეალური; მას სჯერა, რომ ჭინკა, ჯადო, დრაკონი ან ლეგენდარული არსებები ცხოვრობენ ჩვენთან ერთად, დედამიწაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბავშვებთან საუბარი იმის გათვალისწინებით, რომ მათ არ შეუძლიათ განასხვავონ ოცნებები და რეალობა. ლიტერატურული სიტყვების, გრძელი წინადადებების, სიტყვების თამაშის გარეშე ძალიან მარტივი ქცევა, გააძლიერებს ჩვენს ურთიერთობას მათთან. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ არ დავადანაშაულოთ ისინი სიცრუეში, როდესაც ფიქრობენ თავიანთ ფანტაზიის ნაყოფზე.

ბავშვები ეგოისტები არიან.

ყველა ბავშვი მიიჩნევს, რომ ის არის მსოფლიოს ცენტრი. ყველაფერი არსებობს მისი ბედნიერებისთვის, ყველა ვალდებულია ემსახუროს მას, ფიქრობს, რომ მისი ოჯახი და საყვარელი ადამიანები მხოლოდ მისი კომფორტისთვის ცხოვრობენ. ყოველთვის უნდა იყოს უპირატესი, სურს, რომ იყოს

პირველი.”მშიერმა არ იცის ფრთხილად, ბავშვმა არ იცის დრო”- უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. მშობლებმა უნდა მოითმინონ ამ ფაქტის გაცნობიერებით, რადგანაც მათი პატარები გაიზრდებიან და ისწავლიან გაზიარებას, იმას, რომ სხვა ადამიანებსაც აქვთ უფლებები.

ბავშვები ვერ მალავენ თავიანთ გრძნობებს.

ბავშვები იმდენად უწყინარები არიან, რომ მათ არ შეუძლიათ თავიანთი გრძნობების დამალვა. ისინი დიდი ენთუზიაზმით განიცდიან სიხარულს, ტკივილს, მწუხარებას, გაბრაზებას. სათამაშოს გატეხამ, ფილმის გამორთვამ, რომელსაც უყურებს, ვაფლის უყიდველობამ ბავშვიშეიძლება მიიყვანოს გაგიჟებამდე. მეორე მხრივ, პატარა კომპლიმენტმა,ერთმა კოლოფმა კანფეტმა ან ბუშტებმადედის ან მამის სამსახურიდან დაბრუნების მომენტი შეიძლება გადააქციოს დღესასწაულად. სანამ ეტყოდეთ “რა მოხდა ისეთი სამწუხარო!” ან “რა მოხდა, რომ გაბრაზდი?” დაფიქრდით! ეცადეთ გაიგოთ მისი გრძნობები, რადგან თქვენმა შვილმა გრძნობების შეფა-

სება და მათზე კონტროლი უნდა ისწავლოს თქვენგან.

ბავშვები არიან ენერგიულნი.

თქვენ გაგიჭირდებათ გაგება, თუ როგორ ეტევა ამხელა ენერგია ამ პატარა სხეულში! თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რთულია კონტროლი დაძალიან გვიძნელდება, სწორედ ეს ენერგიაა, რომელიც ამზადებს მათ ცხოვრებისთვის. მათ აქვთ აფეთქების საფრთხე ნებისმიერ მომენტში, როგორიცაა წნევის ქვაბი, რომელიც იძლევა გაფრთხილებას. ამიტომ, როგორც მშობლებმა, უნდა ისწავლოთ, მიუდგეთ თქვენს შვილებს ყურადღებით და გონივრულად იმისათვის, რომ ენერგია არ გადაიზარდოს კატასტროფაში. სიყვარულით, დისციპლინური მეთოდების გამოყენებით თქვენ უნდა შეძლოთ ამ მოძრაობისა და ენთუზიაზმის სწორად წარმართვა გარემოსა და ბავშვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაშიროგორც თქვენმა შვილმა, ასევე თქვენ შეიძლება განიცადოთ შემაშფოთებელი შედეგები.


რისი მაკეთებაც
გვევალება, არის
ამ ენერგიის
ფასის ცოდნა,
ენთუზიაზმის
მიმართვა სიკეთისა
და სიმართლისკენ.

muslim.georgia

ბავშვები სავსე არიან ენერგიით!

ბავშვთა აღქმა არ ჰგავს ზრდასრულებისას.

ბავშვები ხედავენ ცხოვრებას სხვადასხვა ფანჯარაში. ჩვენ ვთქვით, რომ ყველაფერი ახალია მათთვის. ეს სიახლე აღელვებს მათ, ისევე როგორც ახარებს. არსებობს ბევრი მომენტი, როდესაც ისინი თავს გამოუცდელად, უმწეოდ, სასოწარკვეთილად გრძნობენ. იმის საფუძველზე, რაც ისწავლეს, ცდილობენ გააკეთონ კომენტარი, გაიგონ, რა ხდება მათ გარშემო და გამოიტანონ დასკვნები.აქედან გამომდინარე, თუ მშობლები ელოდებიან თავიანთი შვილისგან გონივრულ, ცივი გონებით, ნებაყოფლობით და თანმიმდევრულად მოქცევას, როგორც ზრდასრული, ეს იქნება უსამართლობა!

ბავშვები ავლენენ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს სხვადასხვა პერიოდებში.

ასოც. პროფ. ჰურიე მარტი

ბავშვობა შედგება სხვადასხვა პერიოდებისაგან და როდესაც ბავშვები ადიან ზრდის საფეხურებზე, ავლენენ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს ყველაეტაპზე. ბავშვი, რომელსაც არ სურს გაგიშვათ ხელი, როდესაც ის სამი წლისაა, ოთხი წლის ასაკში დაჟინებით ამბობს უარს ხელის მოკიდებაზე. მოზარდობისას კი, თქვენთან ერთად სიარული, ან თქვენთან ერთად ნათესავების, მეგობრების გარემოში ყოფნასაც კი არ ისურვებს. თუკი ასეა, მშობლებმა უნდა იცოდნენ ბავშვობის პერიოდები და თითოეული პერიოდის ძირითადი მახასიათებლები, რათა არ გაუკვირდეთ და დაიბნენ. ამ გზით, შესაძლებელი გახდება ბავშვის მეთვალყურეობა და მოლოდინების სწორი რეგულაცია.

რას უნდა მიეჯაქციოთ ყურადღება ბავშვებთან ურთიერთობისას?

კომუნიკაცია წყალობაა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს გამოხატოს საკუთარი თავი, დაამყაროს ურთიერთობა მის გარშემო არსებულ სულიერ და უსულო არსებებთან. კომუნიკაცია არ არსებობს მხოლოდ სიტყვით და საუბრით, პირიქით, ადამიანები ხშირად უგებენ და პასუხობენ ერთმანეთს არავერბალური კომუნიკაციის გზით. რამდენიმე მოძრაობა, როგორიცაა გაღიმება, წარბის შეკვრა, თვალის ჩაკვრა, ზურგის გამაგრება, ძალიან ეფექტურია ბავშვთან კომუნიკაციისას.

ბავშვებსა და მშობლებს შორის ურთიერთობა დედის მუცლიდან იწყება. ეს არის მსოფლიოში ყველაზე თბილი, ყველაზე ახლო, ყველაზე ძვირფასი და ყველაზე პირდაპირი კომუნიკაცია. ზრდასთან ერთად, ბავშვის მშობლებთან კომუნიკაცია მრავალფეროვანი ხდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ ბავშვმა ისწავლა მათთან კომუნიკაციის დამყარება, ის დაუკავშირდება სხვა ადამია-

ნებსაც, იმავე მეთოდის გამოყენებით. მშობლები, რომლებიც ასწავლიან ჯანსაღ კომუნიკაციას შვილებს, უზრუნველყოფენ, რომ მათ მიაღწიონ თავიანთ სურვილებს და საჭიროებებს ცხოვრებაში ისე, რომ არ დაზარალდნენ და დაზარალონ.

მაშ, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ბავშვებთან ჯანსაღი ურთიერთობის დროს?

ნუ დაგვავიწყდება, რომ ბავშვები არიან.

უფროსებმა გაგებით უნდა მოეკიდონ მათ წინაშე მყოფი ბავშვის მიერ შედგენილ წინადადებებს, მის შეშფოთებას, შიშს და შეცდომებს. უნდა გვახსოვდეს, რომ „ის არის ბავშვი“, დავაყენოთსაკუთარი თავი მის ადგილზე და მოვახდინოთ შესაბამისი რეაგირება. გავიხსენოთ, როგორ ესაუბრებოდა ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბავშვს, როდესაც ის მიიყვანეს მასთან დასასჯელადხურმის ხეების ჩამობერტყვისათვის. ძვირფასმა შუამავალმა მოისმინა საჩივრები და შემდეგ მიუბრუნდა ბავშვს და ჰკითხა,

„შვილო, რატომ ბერტყავ ხეებს?“ როდესაც გაიგო, რომ ის იყო მშიერი, უთხრა „ხურმის ხეები არ ჩამობერტყო და ჭამე ძირს ჩამოცვენილები.“ ამგვარად ასწავლა მას სწორი ფორმა. მან არათუ დასაჯა ის, არამედ თავზე ხელი გადაუსვა და და ლოცვა აღავლინა „ღმერთო, დაანაყრე ეს ბავშვი.“ (ებუ დავუდ, ჯიჰად, 85) ის არ გაბრაზებულა, არ უყვირია, არ მიუყენებია შეურაცხყოფა. მას მხოლოდ აინტერესებდა მიზეზი მისი საქციელის, ასწავლა მას სწორი გზა, თუ როგორ დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილებები და მისცა მას შესაძლებლობა მოკლე დროში გამოესწორებინა საკუთარი შეცდომა.



ჯერ მათ მოუსმინეთ.

მოსმენა ხელოვნებაა. ზრდასრულმა ყური უნდა დაუგდოს ბავშვს, სანამ თვითონ დაიწყებს ლაპარაკს. ნაცვლად იმისა, რომ თითქოს უსმენს, ნამდვილად უნდა მოუსმინოს; ყურადღება უნდა გამოიჩინოს ისე თითქოს დიდ და მნიშვნელოვან ადამიანს უსმენდეს. უნდა ახსოვდეს, რომ თავის მხრივ ბავშვსაც აქვს გამართლებული და სწორი მიზეზები, უნდა ეცადოს გაუგოს მას გულწრფელად. "მე მესმის შენი.","შენ ძალიან განერვიულებული ხარ, არ გინდა შენი სათამაშოების გაზიარება. მე ვხედავ ამას.",,,ვფიქრობ,თავს მარტოდ გრძნობ." მსგავსი ფრაზებით უნდა უზრუნველყოს ბავშვთან კომუნიკაციის შენარჩუნება.თუ ის არ არის მოსმენის განწყობაზე, თავიდან მოცილების ან დატუქსვის ნაცვლად უნდა შესთავაზოს რომ ეს საუბარი გაგრძელდეს მოგვიანებით, სხვა დროს.

სხვა ვინ ჰყავთ ჩვენს შვილებს, ვისაც თავს შეაფარებენ, მოუყვებიან მათ შესახებ, ვისგანაც ითხოვენ დახმარებას, როგორ შეუძლიათ იგრძნონ ღირებულად საკუთარი თავი, თუ მშობლები და-

კავდებიან სხვა საქმით, როდესაც ისინი ლაპარაკობენ? თუ შევაწყვეტინებთ სიტყვას, გავაკრიტიკებთ, დავკითხავთ, შევარცხვენთ ან დავცინებთ, ამის შემდეგ როგორ გაბედავენ ჩვენთან ლაპარაკს?

ვისაუბროთ მარტივი და კონსტრუქციული წინადადებებით.

როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება ცოტა აქვთ ბავშვებს, ასევე მათი სიტყვათა ხაზინაც ვიწროა. მათთვის ხშირად გაუგებარია, გრძელი წინადადებები, ანდაზები და იგავები, ანალოგიები. თუ ჩვენ გვინდა, რომ მათ ნამდვილად ესმოდეთ ჩვენი, ბავშვებთან უნდა ვისაუბროთ მოკლედ და მარტივად. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ მიხვეულ-მოხვეულ გზებზე და ჩამოვაყალიბოთ პირდაპირი წინადადებები, ვეცადოთ, რომ ჩვენი ხმის ტონი არ იყოს გულსატკენი.

ლაპარაკის დროს ჩვენი მთლიანი სხეულით ბავშვისკენ შებრუნება, უზრუნველყოფს უფრო ყურადღებით მის

მოსმენას. მისი ხელის დაჭერა, ზურგზე ან მხარზე შეხება, მის თვალებში ჩახედვა და თუ ფეხზე ვდგავართ მისი სიმაღლის დონემდე დახრა და ლაპარაკი, ასევე პატარა ტაქტიკაა, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ, რათა ბავშვმა თავი იგრძნოს უფრო უსაფრთხოდ და უფრო თავისუფლად დაამყაროს კომუნიკაცია ჩვენთან.

ნუ მოგვერიდება სიყვარულის გამოვლენა.

ჩვენ ვართ ადამიანები და ყველას გვესაჭიროება რომ გვიყვარდეს და ვუყვარდეთ. ბავშვებს უნდათ იცოდნენ, რომ ისინი გვიყვარს. თუ ისინი უყვართ, მაგრამ მათ არ ესმით ეს, ვერ ხედავენ, ვერ გრძნობენ, შეიძლება იფიქრონ, რომ ისინი არ უყვართ. თუმცა, მათ გაუხარდებათ, როცა მიხვდებიან, რომ რაც არ უნდა მოხდეს ჩვენ არასდროს შევწყვეტთ ჩვენი ღვიძლი შვილების სიყვარულს.

როგორც მშობლებმა, ყოველი შესაძლებლობისას ვუთხრათ ბავშვებს, რომ არიან ღირებულნი, განსაკუთრებულნი და შეუცვლელნი. ნუ შევადარებთ

მათ დებს ან მეგობრებს. ვიცოდეთ, რომ რამდენი ყურადღება და სიყვარულიც სჭირდება ჩვილს, ასევე ბავშვს და ახალგაზრდასაც სჭირდება მშობლების სიყვარულით სავსე დამოკიდებულება. ფიქრობთ, რომ სირცხვილად ითვლება უფროსების თვალწინ ბავშვის მოფერება იმ რეგიონში, სადაც ცხოვრობთ? სინამდვილეში, სიყვარულით მოპყრობა სიტყვებით გამოხატვა, ჩვენი საყვარელი შუამავლის ერთ-ერთი ჩვევაა. სწორედ ჩვენმა საყვარელმა შუამავალმა ადამიანს, რომელმაც თქვა: "მე მყავს ათი შვილი, მაგრამ არცერთისთვის არ მიკოცნია" უთხრა: „ის, ვინც არ არის მოწყალე, არ შეიძლება მისი შეწყალება!". (ბუჰარი, ედებ, 18) რაოდენ ძვირფასი გზავნილია ეს, განსაკუთრებით მამებისთვის!

იმისათვის, რომ ჩვენი სიყვარული დავანახოთ შვილებს, არ გვჭირდება ძვირადღირებული ტანსაცმელი და სათამაშოები. საკმარისია მათთვის დროის გამოყოფა, მისალმება, მოკითხვა, მცირე კომპლიმენტებით მათი კარგი განწყობის უზრუნველყოფა, რამდენიმე ტკბილი სიტყვით მათი გულების მოგება. ეს ყველაფერი ბევრად უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ის, რაზეც ჩვენ საათო-

ბით ველაპარაკებით დარიგების სახით. სიყვარულით მოპყრობა ბავშვს არ გააფუჭებს, ეს მხოლოდ აგრძნობინებს მას, რომ არის ღირებული და ბედნიერი. ამ მიზეზით, ჩვენმა შუამავალმა დაისვა ერთ მუხლზე პატარა უსამე, მეორე მუხლზე თავისი შვილიშვილი, ძლიერად ჩაიკრა ისინი გულში და მოეფერა, შემდეგ კი თქვა "ღმერთო ჩემო! მიეცი ორივეს წყალობა! რადგანაც მე მათ მიმართ თანაგრძნობით სავსე ვარ." (ბუჰარი, ედებ, 22)

შენი მამა არის შეუცვლელი.

მიუხედავად იმისა, რომ დედა ჩანს წინა პლანზე, სინამდვილეში მამას უჭირავს შეუცვლელი ადგილი ბავშვის გაზრდაში. მამის ჩრდილის იმიჯი, რომელსაც არ გააჩნია განსხვავება მის არსებობასა და არარსებობას შორის, ჩვილობიდან მოყოლებული ტოვებს ძალიან მტკივნეულ ეფექტს როგორც გოგონასთვის ასევე ბიჭისთვის.თუმცა, მამა, რომელიც დაუთმობს დროს თავის შვილს, გულში იკრავს იმედიანი მკლავებით და არ ერიდება უთხრას მას, რომ უყვარს, შეცდომების წინაშე არის მშვიდი, იქცევა მოთმინებით და კონსტრუქციულად, ლაკმუსის ქაღალდია ბავშვის

ცხოვრებაში. როდესაც ვკითხულობთ ჩვენი საყვარელი შუამავლის ცხოვრებას ვხედავთ,რომ მამა მოწყალების სიმბოლოა: ის ხელმძღვანელობს, ადგენს წესებს, მაგრამ არასოდეს ურევს ერთმანეთში დისციპლინას და ძალადობას.

იმისათვის, რომ ჩვენმა პატარა ამანათმა გააცნობიეროს სიცოცხლისთვის ბრძოლის მნიშვნელობა, მოიპოვოს პრობლემებთან გამკლავების უნარი, ენდოს საკუთარ თავს და განავითაროს ჯანსაღი სექსუალური იდენტობა, სჭირდება როგორც დედა ასევე მამაც. როდესაც მას შეუძლია დაამყაროს ძლიერი ურთიერთობა მამასთან, ის თავს გრძნობს უსაფრთხოდ და ცხოვრებას უყურებს იმედით. მოდი ვიფიქროთ საპირისპიროდ: როდესაც ის რჩება მამის ყურადღების გარეშე, მისი ფრთები მოტეხილია და ის ღიაა მატერიალური და მორალური საფრთხეების მიმართ.

როდესაც ჰზ. ფატიმა ოთახში შევიდა,მამა მას ფეხზე წამომდგარი დახვდა, შუბლზე აკოცა და მარჯვენა მხრიდან მოისვა. ბავშვობიდან, ქალწულობამდე, ქორწინებიდან დედობამდე ყველა საკითხში მხარს უჭერდა თავის ქალიშ-

ვილს. ვის შეუძლია დარჩეს გულგრილი ასეთი ყურადღების მიმართ?ჰზ. ფატიმა მამის წყალობით ზრდილობიანი შვილი, ნიჭიერი დედა, მოსიყვარულე მეუღლე იყო.

ბავშვს აქვს უფლებები

ადამიანი, რომელიც შექმნილია როგორც დედამიწის პატივცემული მმართველი, ძვირფასია ყველა ასაკში და აქვს უფლებები დაბადებიდან. იმის გამო, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ დაიცვან თავიანთი უფლებები, მათი უფლებების დაცვა არის ოჯახის და საზოგადოების, რომელშიც ისინი ცხოვრობენ ანუ ჩვენი, უფროსების მოვალეობა.

სიცოცხლის უფლება

"ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლისა და განვითარების უფლება." სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში საყვარელი და სასურველია, ბავშვი ზოგჯერ შეიძლება იყოს მოულოდნელი სიურპრიზი მშობლებისთვის. რთულ პირობებში ამ მგრძნობიარე ამანათის მიღება რასაკვირველია არ არის ადვილი. მაგრამ მის არსებობაზე გადაწყვეტილება არც მის მშობლებს და არც მას არ მიუღიათ. ასე რომ, აუცილებელია მიიღონ არსება, რომელიც

გაჩენილია ალლაჰის მიერ.როდესაც ღმერთი გვაფრთხილებს „და არ მოჰკლათ შვილნი თქვენი სიღარიბის შიშით! მათაც ჩვენ ვაძლევთ სარჩოს და თქვენაც. უეჭველად, მათი მოკვლა მძიმე ცოდვაა!“(ისრა, 17/31), არ უნდა ენდოთ მას?

მეორე მხრივ, არსებობენ შვილები, რომელთა დაბადებასაც შეხვდნენ მწუხარებითა და სირცხვილით, რომლებიც იქნენ დამცირებულნი, მეტიც, სიცოცხლის უფლება ჩამორთმეულნი და მოკლულნი, მხოლოდ იმიტომ, რომ იყვნენ გოგონები. ყურანი ამ უსამართლობას ასე აღწერს:

„და როცა რომელიმე მათგანს ქალიშვილს ახარებენ, დაეფარება სახე შავად, სიბრაზის გამო. ემალება ხალხს უხეირო ცნობის გამო. დაიტოვოს სირცხვილად შვილი თუ მიწაში ჩამარხოს? ერთი შეხედე, რა საზიზღარია მათი განაჩენი!“ (ნაჰლი, 16/58-59) სინამდვილეში, ოჯახებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს ლამაზი გოგონები ალლაჰის პატრონაჟის ქვეშ არიან. ალლაჰი ამცნობს მათ, ვისაც არ მოსწონს ამანათი და ვინც სასტიკად ეპყრობა ქალიშვილებს, რომ განკითხვის დღეს პასუხი მოეთხოვებათ. იყო მშობელი ნიშნავს, არ დაგავიწყდეს, რომ ღმერთია სიცოცხლისა და სარჩოს მომცემი...

“განკითხვის დღეს მოხდება თქვენი გამოძახება თქვენი სახელებით და თქვენი მამების სახელებით. ამიტომ ლამაზი სახელები დაარქვით.”

(ებუ დავუდ, ედებ, 61)

სახელის უფლება

“ყველა ბავშვი, როდესაც ქვეყანას მოევლინება, აქვს უფლება, მიიღოს ადამიანის ღირსების შესაფერისი, მნიშვნელობის მქონე და ლამაზი სახელი.“ მშობლებმა, თავიანთ შვილებს უნდა დაარქვან ისეთი სახელები, რომელთა აღწერა და მნიშვნელობა არის ლამაზი და არ შერცხვებათ. ჩვენი შუამავალი, რომელსაც ერქვა ლამაზი სახელი და თვითონაც იყო ლამაზი, როდესაც მიიყვანდნენ მასთან ახალშობილებს, ლამაზ სახელს არქმევდა და ლოცულობდა მათი კეთილდღეობისთვის. გარდა ამისა, მან გადაარქვა სახელები, რომლებსაც არ ჰქონდა კარგი მნიშვნელობები.

“განკითხვის დღეს მოხდება თქვენი გამოძახება თქვენი სახელებით და თქვენი მამების სახელებით. ამიტომ ლამაზი სახელები დაარქვით.” (ებუ დავუდ, ედებ, 61)

მშობლების ცოდნის უფლება

“ყველა ბავშვს აქვს უფლება იცოდეს მშობლები და იყოს მათი მზრუნველობის ქვეშ.” ადამიანისთვის სასიცოცხ-

ლოდ მნიშვნელოვანია, იცოდეს ვისი შვილია. ოჯახის ცოდნა არის ის სიტუაცია, რომელიც აშენებს ბავშვის იდენტურობას, ავითარებს მის პიროვნებას, ეხმარება მას, იცოდეს და განსაზღვროს საკუთარი თავი. სისხლით კავშირი ბედისწერაა.

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბრძანებს: „ვინც შეგნებულად უარყოფს, რომ ბავშვი ეკუთვნის მას, ალლაჰი (განკითხვის დღეს) მსგავსად დაშორდება მას და ყველას თვალწინ შეარცხვენს.“

(ებუ დავუდ, თალაქ, 28-29)

nushin georgia

აქედან გამომდინარე, როგორც არავის აქვს უფლება, უარყოს თავისი შვილი, ასევე ბავშვსაც არ აქვს უფლება, ამტკიცოს, რომ არის სხვა გვარის წარმომავლობის, გარდა მისი მშობლებისა.

ოჯახთან ერთად ცხოვრების უფლება

"ყველა ბავშვს აქვს თავის ოჯახთან ცხოვრების უფლება." დედის კალთის, მამის კერის სუნი არ შეიძლება რაიმეში გაიცვალოს. ბავშვს სჭირდება მშობლების ყურადღება, ნდობა და სითბო, მიუხედავად იმისა, რაოდენ კარგ პირობებშიც უნდა იზრდებოდეს. ამიტომ, მშობლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა თავიანთი შვილი იყოს მათთან. იმისათვის, რომ არ დასუსტდეს ოჯახი, რომელსაც უჭირს, არ დაკარგოს მთლიანობა, საზოგადოებამ უნდა დაუჭიროს მხარი მას, უნდა მოიძებნოს გზები, რომ მშობლები არ დაშორდნენ თავიანთ შვილს.

"ვინც თავისი შვილისგან დააშორებს დედას, განკითხვის დღეს ალაჰი დააშორებს მას საყვარელ ადამიანებს."(თირმიზი, ჯადო, 52)

მათი იდეების შეფასების უფლება

“ყველა ბავშვს აქვს საკუთარი მოსაზრებების თქმის, საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება.” ზოგჯერ ბავშვის იდეები უფროსებს შეიძლება მოეჩვენოთ, როგორც კომიკური და მარტივი. ბავშვი, რომელიც ცდილობს თქვას თავისი საჭიროებების და მოთხოვნილებების შესახებ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აპროტესტებს ან პრობლემებს ქმნის. სინამდვილეში ბავშვი ვერ შეძლებს მისი გონებრივი განვითარების დასრულებას, თუ არ ეკითხებიან მას აზრს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მას ეხება და პატივს არ სცემენ მის აზრებს. ბავშვი, რომელსაც აჩუმებენ მიმართვით, “ჯერ გაიზარდე და მერე ილაპარაკე!” ვერ მოიპოვებს ჯანსაღი აზრის გამოთქმის უნარს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით მოვიყვანოთ ჩვენი ძვირფასი შუამავლის მაგალითი: ის ახდენდა, როგორც მისი შვილიშვილების, ასევე მისი გარშემომყოფი სხვა ბავშვების ორიენტირებას აზროვნებისკენ, ისმენდა მათ იდეებს

და ითვალისწინებდა მათ გადაწყვეტილებებს. ერთ დღეს ხელში სასმელით გასამასპინძლებლად შეტრიალდა მარჯვენა მხარეს. მისგან მარჯვნივ იყო ბავშვი, მარცხვნივ კი, იყვნენ მისი უხუცესი მიმდევარი მეგობრები. "ნებას მომცემ, რომ ეს სასმელი ჯერ უხუცესებს მივაწოდო?" ჰკითხა ბავშვს. მაგრამ ამ ჭკვიანმა ბავშვმა უპასუხა, "არა, ვფიცავ ღმერთს, ვერ დავუშვებ შენგან მოავალი წყალობის სხვის მიერ მიტაცებას." ამის შემდეგ, ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმა გამასპინძლება დაიწყო ბავშვით. (მუსლიმი, ეშრიბე, 127)

საკუთარი ღირსების დაცვის უფლება

„ყველა ბავშვს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი ღირსება." ღირსეული ცხოვრებისათვის, საკმარისია რომ დაიმსახურო ადამიანად ყოფნა. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ არ შეილახოს ბავშვის ღირსება, როდესაც ვეძახით მას, ვესაუბრებით მას, ვაძლევთ დავალებას ან ვახდენთ მის დისციპლინირებას. ჩვენ, უფროსები იმ ძალისხმევას, რომელსაც ვიჩენთ იმისათვის, რომ არ ვაწყენინოთ

მეგობარს, ხშირად არ ვავლენთ ჩვენი შვილების მიმართ. ჩვენ შეგვიძლია ადვილად ვაპატიოთ შეცდომა მეგობარს, მაგრამ ვერ ვპატობთ ჩვენი შვილების მოუხერხებლობასდა მათ შეცდომებს. სინამდვილეში, ჩვენი პატარები ყველაზე მეტად იმსახურებენ მოთმინებას, ზრუნვას, თანაგრძნობას და თავაზიანობას. ნუ დავივიწყებთ, რომ ბავშვი, რომელსაც შეელახა ღირსება და თავს გრძნობს განადგურებულად, დაკარგავს საკუთარი თავისადმი ნდობას და ვეღარ აკეთებს იმასაც კი, რისი გაკეთებაც შეუძლია.

ჩვენი ძვირფასი შუამავალი, ენესს, რომელიც მის გვერდით იზრდებოოდა შვიდი წლიდან, მიმართავდა „პატარა ენეს“ ან „შვილო.“ მას არ ექცეოდა უხეშად, არ უყვიროდა, როდესაც ის უშვებდა შეცდომას, არ ეჩხუბებოდა, არ წყევლიდა. პირიქით, ის ხელს ჩასჭიდებდა და აჩვენებდა თუ რა იყო ჭეშმარიტება. ნახეთ რას ამბობს ენესი:

“მე ვემსახურე ალლაჰის ელჩს ათი წლის განმავლობაში. ვფიცავ ალლაჰს, ერთხელაც არ უთქვამს ჩემთვის „უჰ!“ რაიმეს გამო არ უთქვამს, ასე რტომ გააკეთე? ან ასე რატომ არ გააკეთეო და არ გამწყრომია.“ (მუსლიმი, ფედაილ, 51)

სწავლის უფლება

“ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ცოდნა, რომელიც მას სჭირდება ცხოვრებაში.” შეუძლებელია ბავშვებმა დამოუკიდებლად ისწავლონ, თუ როგორ შეძლებენ წარმართონ ჯანსაღი და წარმატებული ცხოვრება, დარჩნენ ცოცხალნი, როგორც უკაცრიელ კუნძულზე მარტო მცხოვრები რომანის გმირები. ისინი მათთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს უპირველესად ეცნობიან ოჯახში, ცხოვრების გამოცდის წარმატებით ჩაბარების გზებს სწავლობენ მშობლებისგან. ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს მარტივი ყოველდღიური საქმეებიდან, როგორიცაა პირადი ჰიგიენა და ჭამის წესები, უფრო რთულ ინფორმაციამდე, რაც ისწავლება სკოლის ასაკში და მიიღოს მხარდაჭერა ჩვევების დაუფლებამდე.

თამაშის უფლება

„ყველა ბავშვს უფლება აქვს ითამაშოს თამაში.“ თამაში არ არის მარტივი დროის გასატარებელი და გასართობი ინსტრუმენტი. პირიქით, თამაში არის

ძალიან ძვირფასი სწავლის საშუალება ბავშვისთვის. ბავშვებისთვის, რომლებიც თამაშის დროს სწავლობენ წესების დაცვას, რიგის დალოდებას, წაგებას და მოგებას, მოთმინებას, საზოგადოებრივ როლებს, კომუნიკაციის დამყარებას, გამოსავლის პოვნას,თამაში ცხოვრების წესია. მშობლებმა შვილების თამაშს უნდა მოეკიდონ გაგებით. მშობლები, რომლებსაც არ ახსოვთ თავიანთი ბავშვობა,ფრანების ემოცია, „კენჭობანას" სიდიადე, „სახლობანას" ბედნიერება,მიწის სითბო,ბურთის თავისუფლება, ბურთულების შრიალი, ბავშვის მიმართ გაუცხოვდება. გარდა ამისა, კარგმა მშობლებმა, არა მხოლოდ უნდა დართონ თამაშის ნება შვილს ან მისცენ მას თამაშის შესაძლებლობა, ასევე უნდა მონაწილეობდნენ თამაშში. რადგანაც,თამაშში გატარებული წუთები ბავშვებისა და მშობლებისთვის არ არის დაკარგული დრო, არამედ არის იშვიათი დრო, რომელიც ხელს უწყობს ოჯახური კავშირების განმტკიცებას.

მაჰმუდ ბ. რები ამბობს: "მახსოვს,როცა ხუთი წლის ვიყავი, ძვირფასი შუამავალი დაიხარა, პირით წყალი აიღო (სათამაშოდ) და სახეზე შემაფრქვია."

(ბუჰარი, ილიმ, 18)

უგულებელყოფისა და ძალადობისგან დაცვის უფლება

თუ გაიხსენებთ, ვთქვით, რომ ბავშვი არის ღვთის ამანათი. თუკი ასეა მაშინ უფროსები პასუხისმგებელნი არიან დაიცვან ის ყველა ბოროტებისგან, უგულებელყოფისაგან და ძალადობისგან. მშობლები ფრთხილად უნდა იყვნენ,რომ ბავშვის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების საკითხში, უმნიშვნელო უყურადღებობაც კი არ დაუშვან. შესაძლებლობები შეიძლება იყოს შეზღუდული,მომენტები განსხვავებული. მაგრამ ისედაც ბავშვის მიმართ უყურადღებობის დაუშვებლობა, ყველაფრის ყიდვა, რაც მას სურს, არაა მცდელობა, რომ ის იყოს ბედნიერი. უყურადღებლობის დაუშვებლობა, მის ფიზიკურ საჭიროებებზე ფიქრი, მისთვის საუკეთესოს გაკეთება და მასზე ზრუნვაა. ზოგჯერ რამდენიმე ტკბილი სიტყვა, უფრო გემრიელია, ვიდრე ძვირადღირებული შოკოლადი, ძვირფასია ვიდრე მდიდრული სათამაშოები.

ბავშვის აღზრდა არის სამუშაო, რომელიც მოითხოვს ცოდნას და უნარს.

აღზრდის სახელით ბავშვის ცემა, ყვირილი, სხვებთან შედარება, მისი სხეულისა და სულის დამცირება,მისი წყენინება და დასჯა, არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება ჩვენი საყვარელი შუამავლის ცხოვრების სტილს. წყალობის შუამავალს, რომელიც იყო როგორც მამა, ასევე ბაბუა, ასევე უმმეთის ლიდერი, არცერთი ბავშვისთვის არ უწყენინებია, ისინი ვინც აწყენინა, მკაცრად გააფრთხილა. მისი დაწესებული პრინციპი საკმაოდ ნათელია:"ის, ვინც პატარებს თანაგრძნობით არ ექცევა, უფროსებს არ სცემს პატივს, ჩვენიანი არაა." (თირმიზი, ბირრ და სილა, 15)

ბავშვის გარჯა არ შეიძლება იყოს უგულებელყოფილი. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით ყველა, ვისაც არა აქვს შესრულებული 18 წელი, ითვლება ბავშვად. ბავშვი არ უნდა იყოს დასაქმებული, არ უნდა დარჩეს სწავლისა და ჯანსაღი განვითარების შესაძლებლობის გარეშე, სანამ ის არ მიაღწევს მუშაობისთვის შესაბამის ზრდასრულობის ასაკს. ხელები, რომლებსაც უნდა დაჰქონდეს წიგნები, არ უნდა გაშავდეს ინდუსტრიაში, გული, რომლიც ბედნიერი უნდა იყოს თამაშით, არ უნდა განად-

გურდეს მუშაობის ტვირთის ქვეშ. თუ შესაბამისად ზრდასრულია მუშაობისთვის და თუ მუშაობს, შრომის ანაზღაურება უნდა მიეცეს სრულად, არ უნდა შეასრულებინონ სამუშაო, რომელიც აღემატება მის შესაძლებლობას.

მეორე მხრივ, ჩვენი შვილები დაცულნი უნდა იყვნენ ბოროტი განზრახვის მქონე ადამიანებისგან. მშობლებმა თავიანთ შვილებს უნდა ჩაუნერგონ კონფიდენციალურობის მცნება, ასწავლონ თავიანთი სხეულის დაცვა და სხვების საზღვრების პატივისცემა. ყველა ბავშვს ესაჭიროება უფროსების ორიენტირება, რათა იცნობდეს თავის კულტურას, დაიცვას თავისი ღირებულებები, გაიცნოს და უყვარდეს საკუთარი რელიგია და საკუთარი ერი. ისეთ მარტივად წვდომად სფეროებში, როგორციაა ტელევიზია, ჟურნალები, ინტერნეტი, მაგრამ უჭირს გაარჩიოს კარგი ცუდისგან, ბავშვის მეგზურობა ასევე ჩვენი მოვალეობაა. შედეგად, ბავშვს, რომელიც დღეს არის დაცული და განათლებული, ექნება ხვალინდელი დღის იმედი და თავდაჯერებულობა...